ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 01 / 10 / 231
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ.თბილისი **22 აგვისტო, 2011 წელი**

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (შემდგომში – შემსყიდველი ორგანიზაცია), მისი შესყიდვების სამსახურის უფროსის ლაშა მერაბიშვილის სახით, და მეორეს მხრივ, შპს „ალიანსი" (შემდგომში - მიმწოდებელი), მისი დირექტორის თემურ კანკავას სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მესამე პუნქტის დ) ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის წესით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

I. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია სამუშაოს (შემდგომში-შესყიდვის ობიექტი) შესყიდვა.

1.2. სამუშაოს შესყიდვა გულისხმობს ქ. რუსთავის იუსტიციის სახლის შენობაში (მის. ქ. რუსთავი, ახალგზრდობის პარკის მიმდებარე ტერიტორია) წყლის რეზერვუარისა და დანადგარებისათვის სათავსოს და, ასევე, სამზარეულოს ოთახის მოწყობის სამუშაოების შესყიდვას.

1.3. შესასრულებელ სამუშაოთა დასახელებები, მახასიათებლები და მოცულობები განისაზღვრება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, რომელიც დანართი №1-ის სახით თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

II. შესყიდვის ობიექტის ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ღირებულება განისაზღვრება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის (დანართი №2) შესაბამისად.

2.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 6493.43 (ექვსიათასოთხასოთხმოცდაცამეტი ლარი და ორმოცდასამი თეთრი) ლარს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით, დღგ-ს ჩათვლით.

III. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1. მიმწოდებელი შესყიდვის ობიექტის მიწოდებას განახორციელებს ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 2011 წლის 1 სექტემბრის ჩათვლით არსებული პერიოდის განმავლობაში

3.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ. რუსთავის იუსტიციის სახლი (მის. ქ. რუსთავი, ახალგაზრდობის პარკის მიმდებარე ტერიტორია).

IV. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მისი ფაქტობრივი მიწოდებისა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

V. ანგარიშსწორების ფორმა, ვადა და ადგილი

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში, „საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე მიღებული შემოსავლებით.

5.2. მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება აუნაზღაურდება უნაღდო ანგარიშსწორებით, შესრულებული სამუშაოების გათვალისწინებით, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, მის მიერ შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში.

5.3. ანაზღაურების ადგილია ქ.თბილისი.

VI. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი ორგანიზაცია და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

6.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია:

- აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

6.3. შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს:

- განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.

- წერილობითი ფორმით მოსთხოვოს მიმწოდებელს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შემოწმების შედეგად გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა, შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე;

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- მიაწოდოს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში საკუთარი ხარჯებით დროულად აღმოფხვრას მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შემოწმების შედეგად გამოვლენილი ხარვეზები;
- შესყიდვის ობიექტის მიწოდებისას აცნობოს შემსყიდველ ორგანიზაციას ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

6.5. მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

VII. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

ხელშეკრულების შესრულებაზე ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის სამეურნეო სამსახურის უფროსის მოადგილე გია აბულაძე.

VIII.. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

8.1. მხარეები პასუხს აგებენ ერთმანეთის წინაშე მათ მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის.

8.2. თუ ერთ-ერთი მხარე არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, მეორე მხარე წერილობითი ფორმით უწესებს დამატებით ვადას ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისთვის. თუ დამატებით ვადაშიც მხარე არ ასრულებს ან არსებითად არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად, ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.

8.3. ხელშეკრულების მხარეს, მის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.3 პროცენტის ოდენობით.

8.4. თუ ხელშეკრულების ერთი მხარისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამი) პროცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად, ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება და მოსთხოვოს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის დროისთვის დაგროვებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხის გადახდა.

IX. ფორს-მაჟორული სიტუაციები

9.1. მხარეები პასუხისმგებელნი არ არიან თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ის გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა: წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა, სხვა სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედებები, აგრეთვე სხვა წინასწარ გაუთვალისწინებელი, აუცდენელი, მხარეების ნებისგან დამოუკიდებელი,

ობიექტური გარემოებები, რომლებიც უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

9.2. თუ ფორს-მაჟორული გარემოებების გამო სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობა გრძელდება ან აშკარაა რომ გაგრძელდება ორ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

9.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორის გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

X. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ცვლილებების შედეგად იზრდება შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამ შემთხვევებშიც ხელშეკრულების საერთო ღირებულების გაზრდა დასაშვებია ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10 პროცენტის ოდენობის ფარგლებში.

10.2. ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა თანხმობის შემთხვევაში. ნებისმიერი ცვლილება და დამატება, 10.1. პუნქტის გათვალისწინებით, ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ წერილობითი ფორმით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერ ცვლილებაზე უნდა გაფორმდეს შეთანხმება, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

XI. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია 2011 წლის 22 აგვისტოდან და მოქმედებს 2011 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

XII. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა

12.1. ხელშეკრულება ავტომატურად წყვეტს მოქმედებას თუ გავიდა ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

12.2. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ერთი მხარის მიერ ცალმხრივად:

12.2.ა. თუ მეორე მხარე, დამატებით ვადაშიც, არ ასრულებს ან არსებითად არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას.

12.2.ბ. სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომისას, როცა მეორე მხარე უარს ამბობს ხელშეკრულების მისადაგებას შეცვლილ გარემოებებთან, ან შეუძლებელია შეცვლილ გარემოებებთან ხელშეკრულების მისადაგება. სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების გამო ხელშეკრულების შეწყვეტისას შემსყიდველმა ორგანიზაციამ უნდა აუნაზღაუროს მიმწოდებელს აღნიშნულ გარემოებებამდე წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში შემსყიდველი ორგანიზაციისათვის განხორციელებული მიწოდება.

12.2.გ. თუ მის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება შეუძლებელია ფორს-მაჟორული გარემოებების გამო ან თუ მის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება ფორს-მაჟორული გარემოებების გამო შეუძლებელია ორ თვეზე მეტის ვადით. ფორს-მაჟორული გარემოებების გამო შესყიდვის ობიექტის მიწოდების შეუძლებლობის გამო ხელშეკრულების შეწყვეტისას მიმწოდებელს უნდა აუნაზღაურდეს ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომამდე წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში, შემსყიდველი ორგანიზაციისათვის განხორციელებული მიწოდება.

XIII. დავა და მისი გადაწყვეტის წესი

13.1. წამოჭრილი დავა ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყდეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. თუ შემსყიდველი ორგანიზაცია და მიმწოდებელი მოლაპარაკებების დაწყებიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ შეთანხმების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

XIV. სხვა პირობები

14.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

14.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

XV. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები, მხარეების წარმომადგენელთა ხელმოწერები, ბეჭედი

შემსყიდველი ორგანიზაცია:
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
უფლებამოსილი წარმომადგენლის სახელი და გვარი: ლაშა მერაბიშვილი
მისამართი: ქ.თბილისი, წმინდა ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ.№2
საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „საქართველოს ბანკის“ ცენტრალური ფილიალი,
ა/ა№GE46BG000000113686601, ბ/კ BAGAGE22, ს/კ №202238621

შესყიდვების სამსახურის უფროსი ლ. მერაბიშვილი

მიმწოდებელი:
შპს „ალიანსი“
უფლებამოსილი წარმომადგენლის სახელი და გვარი: თემურ კანკავა
მისამართი: ქ.თბილისი, ქავთარაძის ქ. №25, კორპ. №1, ბინა №81
საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „საქართველოს ბანკის“ ცენტრალური ფილიალი,
ა/ა №121253800, ბ/კ BAGAGE22, ს/კ №204976464

დირექტორი თ. კანკავა

შემსყიდველი: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
მიმწოდებელი: შ.პ.ს. „ალიანსი“
ხელშეკრულება №01/10/231
ობიექტის დასახელება: რუსთავის „იუსტიციის სახლი“

№	სამუშაოს დასახელება	განზ. ერთ.	რაოდენობა	მასალა		ხელფასი		მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი		ჯამი
				ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
	I. წყლის რეზერვუარისათვის და დანადგარებისათვის სათავსოს მოწყობა									
1	არსებული ღობის ნაწილის დმეონტაჟი და მონტაჟი h-2.1; 4.5 გ.მ.	მ2	9.45	25	236.25	0.89	8.41			244.66
2	ახალი დეკორატიული ლითონის ღობის კარკასის მოწყობა h-2.1; 3.0 გ.მ.	მ2	6.30	30	189.00	37.88	238.64	9.53	60.04	487.68
3	მონოლითური რკინა-ბეტონის საძირკელის მოწყობა h-0.3;	მ3	4.20	60	252.00	211.64	888.89	45.14	189.59	1330.48
4	ჩასატანებელი დეტალების მოწყობა ზომით 200X200X10	ც	4.00	3	12.00	20	80.00	0.5	2.00	94.00
	I თავის ჯამი:									**2156.82**
	II. სამზარეულოს ოთახის მოწყობა									
5	ორმაგი თაბაშირმუყაოს ტიხრების მოწყობა დათბუნებით	მ2	21.60	25	540.00	6	129.60	0.5	10.80	680.40
6	ამსტრონგის შეკიდული ჭერის მოწყობა	მ2	16.25	15	243.75	6.8	110.50	0.5	8.13	362.38
7	მ.დ.ფ.-ის კარის მოწყობა (0.81X2.2)	ც	1.00	445	445.00	10	10.00	10	10.00	465.00
8	ტიხრების დამუშავება და შეღებვა მაღალხარისხოვანი წყალემულსიის საღებავით ორჯერ	მ2	43.20	4.2	181.44	5	216.00	0.7	30.24	427.68
9	ცივი და ცხელი წყლის მილგაყვანილობის მოწყობა პლასმასის მილით დ-20 მმ	გ.მ.	8.80	1.8	15.84	1.5	13.20	0.1	0.88	29.92
10	ელგაყვანილობის კაბელის მოწყობა	გ.მ.	40.80	2.5	102.00	1	40.80	0.1	4.08	146.88
11	„ამსტრონგი“-ს ტიპის სანათის მოწყობა	ც	2.00	57	114.00	10	20.00	2	4.00	138.00
12	ამომრთველის მონტაჟი	ც	2.00	6	12.00	5	10.00			22.00
13	როზეტის მონტაჟი	ც	3.00	6	18.00	5	15.00			33.00

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
14	ვენტილატორის მონტაჟი	ც	2.00	75	150.00	10	20.00			170.00
	II თავის ჯამი:									**2475.26**
	I და II თავების ჯამი:									**4632.07**
	ზედნადები ხარჯები:	10%								463.21
	ჯამი:									5095.28
	გეგმიური დაგროვება:	8%								407.62
	ჯამი:									5502.90
	დ.ღ.გ.:	18%								990.52
	სულ:									**6493.43**

შპს „ალიანსის“ დირექტორი თემურ კანკაია